აღდგომის კუნძული

გაინტერესებს, რატომ ჰქვია აღდგომის კუნძულს ეს სახელი? პასუხი ამ კითხვაზე მოყვანილ ტექსტშია.

1722 წლის 6 აპრილი იყო. მოგზაურმა იაკობ როგევენმა წყნარ ოკეანეში უცნობი კუნძული **აღმოაჩინა**. იმ დღეს აღდგომა იყო, ამიტომ მას აღდგომის კუნძული დაარქვეს. ახლა იგი ჩილეს რესპუბლიკას ეკუთვნის, თუმცა მისგან ძალიან შორსაა. მანძილი ჩილესა და კუნძულს შორის 3510 კმ-ია. სხვა არცერთი კუნძული არ არსებობს დედამიწაზე, რომელიც ასე შორს არის კონტინენტიდან.

ზუსტად არავინ იცის, როდის და საიდან მოვიდა აღდგომის კუნძულზე ადამიანი. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ პირველად ადამიანები იქ 300 წელს დასახლდნენ, ზოგის აზრით – 700 წელს.

თავიდან კუნძულზე იყო ტყეები, თევზებით მდიდარი ტბები. იზრდებოდა ბანანი. ბევრი იყო ტკბილი კარტოფილი. ფიქრობენ, რომ კარგი ბუნებრივი პირობების გამო მოსახლეობა სწრაფად **გამრავლდა**.

აღდგომის კუნძულზე მცხოვრებ ადამიანებს ჰქონდათ **საკუთარი** დამწერლობა და რელიგია. დღეს კუნძული ცნობილია 887 ქვის ქანდაკებით ანუ მოაით. ადამიანებს **სჯეროდათ**, რომ მოაის საშუალებით შეეძლოთ გარდაცვლილ ახლობელთან ჰქონოდათ კავშირი. ქანდაკებებს დგამდნენ სანაპირო ზოლში. ერთ მოაის აკეთებდა 6-კაციანი ჯგუფი. ფიქრობენ, რომ ქანდაკებებს დგამდნენ ხის ჩარჩოზე და ასე მიჰქოდათ სანაპირომდე. ალბათ, ამის გამო ჭრიდნენ კუნძულზე ხეებს. დღეს იქ ტყე თითქმის აღარ არის.

ამ შორეულ კუნძულზე ტურისტები მოაიების სანახავად ჩადიან.

ტექსტი გადამუშავებულია ბაკურ სულაკაურის „მსოფლიოს საოცრებების“ მიხედვით.

შენი აზრით, რით არის საინტერესო აღდგომის კუნძული ტურისტებისთვის?

დონე: *B* გამარტივული, **კომპონენტი:** *ფაქტი და მოსაზრება*

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რის შესახებ არის გამოთქმული მოსაზრებები ტექსტში?

ა) კუნძულზე ადამიანების დასახლების შესახებ.

ბ) კუნძულის ბუნებრივი პირობების შესახებ.

გ) კუნძულის სახელწოდების შესახებ.

2 რომელი წინადადება გადმოსცემს ფაქტს?

ა) ქანდაკება, ალბათ, ხის ჩარჩოებით მიჰქონათ სანაპირომდე.

ბ) აღდგომის კუნძული ჩილეს რესპუბლიკას ეკუთვნის.

გ) სავარაუდოა, რომ კუნძული 700 წელს დასახლდა.

3 „კუნძულზე მცხოვრებ ადამიანებს ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა“. ეს წინადადება გადმოსცემს:

ა) ვარაუდს. ბ) მოსაზრებას. გ) ფაქტს.

4 რომელი წინადადება გადმოსცემს მოსაზრებას?

ა) აღდგომის კუნძული მოგზაურმა იაკობ როგევენმა აღმოაჩინა.

ბ) კუნძული ცნობილია 887 ქვის ქანდაკებით ანუ მოაით.

გ) სავარაუდოდ, ხის მოჭრის გამო კუნძულზე ტყე აღარ დარჩა.

5 ტექსტში *<u>არ ჩანს</u>*:

ა) რამდენი ადამიანი ცხოვრობს კუნძულზე.

გ) რა მიზნით კეთდებოდა კუნძულზე ქანდაკებები.

ბ) რომელ ოკეანეშია აღდგომის კუნძული.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. იაკობ როგევენმა უცნობი მიწა **აღმოაჩინა.**

   ა) აღწერა. ბ) იპოვა. გ) მოინახულა.

2. კუნძულზე მოსახლეობა **გამრავლდა.** აქ **გამრავლება** ნიშნავს:

   ა) რაოდენობის კლებას.

   ბ) რაოდენობის მომატებას.

   გ) სწრაფად განვითარებას.

3. მათ ჰქონდათ **საკუთარი** დამწერლობა.

   ა) თავისი. ბ) საინტერესო. გ) უცნაური.

4. ადამიანებს **სჯეროდათ,** მოაი მათ გარდაცვლილ ახლობელთან დააკავშირებდა. **სჯერა** ნიშნავს, რომ:

   ა) ადამიანი დარწმუნებულია რაღაცაში.

   ბ) ადამიანს მოსწონს რაღაცა.

   გ) ადამიანი ოცნებობს რაღაცაზე.

2 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) ახლობელი – ნათესავი. ბ) თბილი – ცივი. გ) მდიდარი – ღარიბი.

3 რომელია ზედმეტი სიტყვა?

ა) ზღვა. ბ) კონტინენტი. გ) ოკეანე. დ) ტბა.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვებია გამოტოვებული?

1. ---------- აღმოაჩინა კუნძული.

   ა) მოგზაური. ბ) მოგზაურმა. გ) მოგზაურს.

2. ---------- დგამდნენ სანაპირო ზოლში.

   ა) ქანდაკებები. ბ) ქანდაკებებმა. გ) ქანდაკებებს.

გრამატიკა

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. აღდგომის კუნძულზე 887 ----------. ***(ქანდაკებაა/ქანდაკებებია)***

2. კუნძული შორს არის ----------. ***(კონტინენტისგან/კონტინენტიდან)***

3 შეარჩიე სწორი ფორმა.

1. ქანდაკებას ---------- ხის ჩარჩოზე. ***(დგამდენ/დგამდნენ)***

2. ---------- არავინ იცის კუნძულის დასახლების ისტორია.

(ზუსტად/ზუსტათ)

წერა

1 ამოიწერე ტექსტიდან ფაქტები და მოსაზრები.

№	ფაქტები	მოსაზრებები
1	*აღდგომის კუნძული არის წყნარ ოკეანეში.*	*ადამიანები კუნძულზე მივიდნენ ან 300 წელს, ან 700 წელს.*
2		
3		
4		

2 წარმოიდგინე, რომ ხარ ტურისტი. დაწერე – ერთი დღე აღდგომის კუნძულზე. გააფორმე შენი ნაწერი ნახატებით.

_____

_____

_____

_____

_____

_____